ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№54

ქ. თბილისი; 20 დეკემბერი, 2019 წ. 13 : 00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
თინათინ ნიბლოშვილი
ნინო რუხაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ქეთევან მამულაშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - ვალერი ჭიღლაძე

მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატი - ვიქტორ წილოსანი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ვასილ აბულაძე

გლდანის რაიონის გამგებელი - ბექა მიქაუტაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელი - ლევან ჯღარკავა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე - გია გვენეტაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვიქტორ წილოსანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ირაკლი ნადირაძის (პ/ნ: 01013014200) უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე.

4. „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-75 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის №12-29 დადგენილებით დამტკიცებულ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესში“ ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. “ქალაქ თბილისში, ქუჩა პეტრე და იოსებ ოცხელების, N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.060.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.101.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისში, ქუჩა ბესარიონ ჭიჭინაძე, N10ა, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.032) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.009) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. "ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ N10, N18ა და N20ა კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.317) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. „შპს „სასათბურე მეურნეობის" ქალაქ თბილისის ადგილობრივ საკუთრებაში არსებული 100%-იანი წილის პირდაპირი განკარგვის წესით მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე" 2010 წლის 1აპრილის ხელშეკრულებით (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N100306573) განსაზღვრული პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.300.03.03.002) პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. ქ. თბილისში, ტიციან ტაბიძის 1 შესახვევი, №18-ის მიმდებარედ არსებული 63 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ:01.14.11.057.100) და ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მიკრო/რაიონი, კორპუსი №24-ის მიმდებარედ არსებული 1021 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ:01.14.02.005.027) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.061.039) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ი/მ მანანა პრუსეცკისთვის (პ/ნ:01008005543) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. "ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ. №88-90-ის მიმდებარედ არსებული 54 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.14.04.008.341) მარიამ ჭუბაბრიასთვის (პ/ნ: 01024076018) იჯარის

ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" შემადგენლობიდან ერეკლე კუხიანიძის გარიცხვის თაობაზე საკითხი.

22. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №8-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

23. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2020 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა - ვალერი ჭიღლაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვიქტორ წილოსანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი და წარადგინა, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე **დასანიშნი კანდიდატი - ვიქტორ წილოსანი.**

მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ვრცლად ისაუბრა ბატონი ვიქტორის სამუშაო გამოცდილებაზე და განმარტა, რომ იგი გახლდათ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ბატონ ვიქტორს ასევე გააჩნია კერძო სექტორში მუშაობის დიდი გამოცდილება. მისივე თქმით, ბატონი წილოსანი გახლავთ პროფესიონალი მენეჯერი და მიღებული აქვს მონაწილეობა უამრავ წარმატებულ პროექტში.

დასასრულს, მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ბატონ ვიქტორს წარმატება უსურვა მომავალ საქმიანობაში.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა, ვიქტორ წილოსანის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვეს.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა წარმატება უსურვა მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასანიშნ კანდიდატს და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი განკარგულების პრეამბულაში, სამართლებრივ საფუძვლებში, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტის** მითითება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს, მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - გაიოზ თალაკვაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა, გაიოზ თალაკვაძემ დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებები წარადგინა. ამ ცვლილებების მიხედვით, 2019 წლის ბიუჯეტი 5 616,0 ათასი ლარით იზრდება და 1 106 066,8 ათასი ლარით განისაზღვრება.

როგორც გაიოზ თალაკვაძემ განაცხადა, წარმოდგენილი ცვლილებები განპირობებულია, მიმდინარე წელს ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მისაღები შემოსულობების გადაჭარბებით შესრულებით, რაც ითვალისწინებს ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში არაფინანსური აქტივების კლების გეგმის 5 976,9 ათასი ლარით გაზრდას.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილ ცვლილების პროექტში გათვალისწინებულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე.

ბატონი გაიოზის განცხადებით, ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- ✓ საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია – 55 000,0 ათასი ლარით;
- ✓ სასწრაფო სამედიცინო დახმარება - 1 500,0 ათასი ლარით;
- ✓ საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება – 2 800,0 ათასი ლარით;
- ✓ სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში – 15,3 ათასი ლარით.

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

- ➢ გზების მშენებლობა და აღდგენა – 6 800,0 ათასი ლარით;
- ✓ გზების მოვლაშეკეთება გლდანის რაიონში – 706,6 ათასი ლარით;
- ✓ ნაძალადევის რაიონში – 26,0 ათასი ლარით;
- ✓ დიდუბის რაიონში – 18,3 ათასი ლარით;
- ✓ საბურთალოს რაიონში – 52,7 ათასი ლარით;
- ✓ ისნის რაიონში – 48,1 ათასი ლარით;
- ✓ სამგორის რაიონში – 66,2 ათასი ლარით;

- ✓ მთწმინდის რაიონში – 31,0 ათასი ლარით;

- ➢ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები – 1 752,9 ათასი ლარით;
- ➢ საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია – 3 800,0 ათასი ლარით;
- ➢ გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია – 800,0 ათასი ლარით;

- ➢ კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში – 144,3 ათასი ლარით;
- ✓ ნაძალადევის რაიონში– 105,5 ათასი ლარით;
- ✓ დიდუბის რაიონში – 54,0 ათასი ლარით;
- ✓ ჩუღურეთის რაიონში – 23,7 ათასი ლარით;
- ✓ ვაკის რაიონში – 82,3 ათასი ლარით;
- ✓ საბურთალოს რაიონში – 28,2 ათასი ლარით;
- ✓ ისნის რაიონში - 52,8 ათასი ლარით;
- ✓ კრწანისის რაიონში – 600,0 ათასი ლარით;

- ➢ ქალაქის განვითარების ხელშეწყობა – 16 000,0 ათასი ლარით;
- ➢ გამწვანების ღონისძიებები – 5 123,0 ათასი ლარით;
- ➢ ბიზნესის სტიმულირება – 360,9 ათასი ლარით;
- ➢ თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები – 44,0 ათასი ლარით;
- ➢ შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა – 14,3 ათასი ლარით;
- ➢ სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება – 10,0 ათასი ლარით;
- ➢ საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები – 246,2 ათასი ლარით;
- ➢ ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია – 25,6 ათასი ლარით; ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება –

- ➢ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში – 7,9 ათასი ლარით;
- ✓ ნაძალადევის რაიონში – 42,6 ათასი ლარით;
- ✓ დიდუბის რაიონში – 158,4 ათასი ლარით;
- ✓ ჩუღურეთის რაიონში – 16,8 ათასი ლარით;
- ✓ ვაკის რაიონში – 49,0 ათასი ლარით;
- ✓ საბურთალოს რაიონში – 43,8 ათასი ლარით;
- ✓ ისნის რაიონში – 17,0 ათასი ლარით;
- ✓ სამგორის რაიონში – 23,7 ათასი ლარით;
- ✓ კრწანისის რაიონში – 39,0 ათასი ლარით;
- ✓ მთაწმინდის რაიონში – 83,5 ათასი ლარით;

- ➢ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა – 6 000,0 ათასი ლარით; საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა – 1 725,0 ათასი ლარით;
- ➢ უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა – 49,0 ათასი ლარით; სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია – 47,0 ათასი ლარით;
- ➢ სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა – 639,9 ათასი ლარი;

- ➢ კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში – 1,9 ათასი ლარით;
- ✓ ვაკის რაიონში – 4,0 ათასი ლარით;
- ✓ კრწანისის რაიონში – 15,3 ათასი ლარით;

- ➢ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა – 1 460,0 ათასი ლარით;
- ➢ მერიის ადმინისტრაცია – 1 272,7 ათასი ლარი;
- ➢ ვაკის რაიონის გამგეობა – 32,4 ათასი ლარით;
- ➢ ისნის რაიონის გამგეობა – 34,9 ათასი ლარით;
- ➢ სამგორის რაიონის გამგეობა – 102,5 ათასი ლარით;
- ➢ ფიხახსთა სამინისტროსგან აღებული სესხის მომსახურება (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) – 1 789,4 ათასი ლარით;
- ➢ თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება – 110,9 ათასი ლარით.

როგორც საკითხის წარმომდგენმა განმარტა, იზრდება ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა 1 ერთეულით.

როგორც ბატონმა თალაკვაძემ აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 043 916,5 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 62 150,3 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 009 839,6 ათასი ლარით.

დასასრულს, მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ 2019 წლისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 53 591,0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი - ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა იმის თაობაზე, თუ ვისი მოთხოვნის საფუძველზე ხორციელდება, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისთვის განკუთვნილი თანხების გაზრდა. ქალბატონი ლილე ასევე დაინტერესდა, საკითხთან დაკავშირებით რატომ არ არის წარმოდგენილი ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნა.

ლევან ჟორჟოლიანმა, ლილე ლიპარტელიანს განუმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, საკრებულოს კომისიების მიერ შემუშავებული/მომზადებული დასკვნები, ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს - საკრებულოს ბიუროს სხდომაზე წარსადგენად, ხოლო საკრებულს სხდომაზე, ხმათა შესაბამისი რაოდენობით, ხდება სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება, მათ შორის, წარმოდგენილ საკითხთან მიმართებაში, გადაწყვეტილება მიღებული იქნება, საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, დადგენილების პრეამბულაში, სამართლებრივ საფუძვლად ასევე უნდა მიეთითოს, **საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.** ამასთან, სასურველია, სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში მიეთითოს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის **მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა,** კომისიის წევრებს აცნობა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან წარდგენილია, თბილისის საქალაქო სასამართლოს წერილი, რასაც თან ერთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვალერიანე ფილიშვილის დადგენილების ასლი, რომლის თანახმად, საკრებულოს წევრი - ირაკლი ნადირაძე ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით და ადმინისტრაციული სახდელის სახით შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 13 (ცამეტი) დღე-ღამის ვადით.

ამასთან, **თავმჯდომარის თქმით,** მ/წლის 17 დეკემბრის წერილით თბილისის საქალაქო სასამართლომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს მიაწოდა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ლევან მურუსიძის 2019 წლის 25 ნოემბრის დადგენილების ასლი ირაკლი ნადირაძის მიმართ, საიდანაც ირკვევა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 21 ნოემბრის დადგენილება გაასაჩივრა ირაკლი ნადირაძემ, რომელმაც გასაჩივრებული დადგენილების გაუქმება მოითხოვა. ხოლო, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნული დადგენილებით საჩივარი დაუშვებლად ცნო.

სხდომის თავმჯდომარის განმარტებით, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014

წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლებამოსილება შეუჩერდება სასამართლოს მიერ მისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ან ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში. უფლებამოსილების შეჩერების ვადა განისაზღვრება შესაბამისად პატიმრობის ან ადმინისტრაციული პატიმრობის მოქმედების ვადით.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე ცნობის სახით უნდა მიიღოს და საკრებულოს სხდომის საოქმო ჩანაწერით გააფორმოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის - ირაკლი ნადირაძის (პ/ნ: 01013014200) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ვალერიანე ფილიშვილის №4/12431-19 დადგენილებით განსაზღვრული ვადით უფლებამოსილების შეჩერების თაობაზე საკითხი, როგორც მის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების იმპერატიულად თანმდევი შედეგი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა, ცნობის სახით მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

აზრი გამოთქვა:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა გააკეთა კომენტარი და განაცხადა, რომ საკრებულოს უმრავლესობისთვის იმთავითვე ცხადი გახლდათ, რომ ერეკლე კუხიანიძე, საკრებულოს წევრის მანდატს არ დატოვებდა. ქალბატონმა ლილემ ისაუბრა 17 დეკემბერს, საკრებულოს შენობაში განვითარებულ მოვლენებზე. მისივე თქმით, მერიის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა გადაამატეს მათთვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას, როდესაც აქციის მონაწილეებს - სამოქალაქო აქტივისტებსა და საკრებულოს დეპუტატებს ძალის გამოყენებით დაატოვებინეს საკრებულოს შენობა.

ქალბატონმა ლილემ განაცხადა, რომ მერიის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებულ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მიმართავს შესაბამის უწყებას, სამართლებრივი რეაგირების განხორციელების მიზნით.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა და სამოქალაქო აქტივისტებმა თბილისის საკრებულოს წევრის, ერეკლე კუხიანიძის სამუშაო ოთახში კარავი გაშალეს, რამაც შეაფერხა ადმინისტრაციული ორგანოსა და საჯარო მოხელეების სამუშაო პროცესი.

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, ქალბატონ ლილეს მოუწოდა კანონის პატივისცემისკენ და განუმარტა, რომ ნებისმიერ ქმედებას, რომელიც ჩადენილი იქნება კანონის მოთხოვნათა დარღვევით, უფლებამოსილი სამსახურების მხრიდან მოყვება შესაბამისი რეაგირება.

გიორგი ჩაკვეტაძემ, მიმართა ლილე ლიპარტელიანს და როგორც ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანოს წევრს, წესრიგისა და კანონის დაცვისკენ მოუწოდა. ბატონმა გიორგიმ, ლილე ლიპარტელიანს შეახსენა, რომ საკრებულოში, მიმდინარე პერიოდში განიხილება ერთობ მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის მიმდინარეობს მუშაობა დედაქალაქის მთავარ ფინანსურ დოკუმენტზე და დასამტკიცებლად წარმოდგენილია დედაქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტი, რომელიც, გიორგი ჩაკვეტაძის თქმით, რეკორდულ ნიშნულს აღწევს.

გიორგი ჩაკვეტაძის თქმით, ოპოზიციური დეპუტატების მხრიდან განხორციელებულ დესტრუქციულ ქმედებებს, ყოველთვის მოყვება შესაბამისი კანონისმიერი რეაგირება.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელმა - **ლევან ჯღარკავამ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის **№19-75** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-75 დადგენილებაში, რომლითაც დამტკიცებულია **ცალკეული ხაზობრივი ნაგებობების განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესი.** წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, თუ სამუშაოების წარმოებისათვის გამოყენებული ტერიტორია არ არის მოყვანილი პირვანდელ მდგომარეობაში ან/და არასათანადოდ არის აღდგენილი, დამრღვევს, დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრება ვადა, არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა. **ცვლილებით აღნიშნული ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 3 (სამი) კალენდარული დღით.**

ასევე, წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტს ემატება ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, სამუშაოს დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში აღდგენილი ასფალტბეტონიანის საფარის ჯდენის ან სხვა სახის ხარვეზის გამოვლენისას სამუშაოები დაწყებულ უნდა იქნეს შეტყობინებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა და დასრულდეს, სამუშაოების დაწყებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში. დღეს მოქმედი რედაქციით ხარვეზის გამოსწორების ვადად განსაზღვრულია 10 დღე.

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი ცვლილებით ასევე მცირდება წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისთვის ვადები და სამუშაოების მწარმოებელს ეკისრება ვალდებულება აღადგინოს სამუშაოების წარმოებისათვის გამოყენებული ტერიტორიაზე საფარი ან/და მოიყვანოს იგი პირვანდელ მდგომარეობაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისთვის შეტყობინებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში, ხოლო თუ სამუშაოთა სირთულის გამო ამ ვადაში შეუძლებელია აღნიშნული ღონისძიებების განხორციელება, სამუშაოთა მწარმოებელი

ვალდებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას წარუდგინოს მოტივირებული შეტყობინება (წერილობით ან ელექტრონული ფორსტის საშუალებით) სამუშაოების დამატებით, არაუმეტეს 3 (სამი) კალენდარულ დღეში განხორციელების შესახებ.

ამასთან, წესის მე-6 მუხლს ემატება მე-3 პუნქტი, რომლის თანახმად, სამუშაოების მწარმოებელს ეკისრება ვალდებულება ავარიის/გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევის აღმოფხვრიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, სამუშაოს დასრულების თაობაზე წერილობითი ინფორმაცია მიაწოდოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას.

დასასრულს, **ბატონმა ჯღარკავამ** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების განხორციელება განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო სისტემის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რაც დადებით გავლენას მოახდენს ქალაქ თბილისის შემდგომ განვითარებაზე. **პროექტის ამოქმედების ვადად განისაზღვრა 2020 წლის 1 თებერვალი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს, მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. გლდანის რაიონის გამგებელმა - **ბექა მიქაუტაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის **№12-29** დადგენილებით დამტკიცებულ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესში" ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის თქმით, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№12-29** დადგენილებით დამტკიცებული წესში, რომლის მიხედვითაც სახურავის, ლიფტის, შიდა წყალკანალიზაციისა და სართულშუა ნაპრალების შესაკეთებელ სამუშაოებზე, გამგეობისგან დაფინანსების მისაღებად ამხანაგობის მიერ საკუთარ ანგარიშზე განსათავსებელი აუცილებელი სადანახარჯო შენატანის ოდენობა მცირდება **5%-მდე.** (იყო არანაკლებ 10%).

როგორც ბატონმა ბექამ აღნიშნა, აღნიშნული ცვლილება განპირობებულია იმ მოტივით, რომ ამხანაგობები ვერ აგროვებდნენ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოს ღირებულების არანაკლებ 10%-ს და შედეგად, პრობლემა მოუგვარებელი რჩებოდა.

გლდანის რაიონის გამგებელმა ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ხდება სადანახარჯო შენატანების გადახდის ვალდებულებისგან მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსის მქონე ამხანაგობის წევრების განთავისუფლება.

დასასრულს, ბექა მიქაუტაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილება ამოქმედდება 2020 წლის 1 იანვარიდან.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ამავე კანონის 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი. ასევე, დადგენილების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 9 თებერვლის №12-29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

თავმჯდომარის თქმით, უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და დადგენილების პროექტის პირველ მუხლში მიეთითოს საკრებულოს №12-29 დადგენილების საკანონდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების თარიღი და სარეგისტრაციო კოდი. შესაბამისად, დადგენილების პროექტის პირველი მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს, მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6-7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძე, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების

თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" და „საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის N8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები.

როგორც ბატონმა ვასილმა აღნიშნა, საქალაქო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისას, აუცილებელი ხდება დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში გზის სავალი ნაწილის სრული ან ნაწილობრივი გადაკეტვა, რაც უკვე არსებულ მარშრუტებში შესაბამისი კორექტირების შეტანას საჭიროებს, რის დამტკიცებასაც დიდი დრო სჭირდება და ეს მომხმარებლის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

ვასილ აბულაძის თქმით, წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ენიჭება არსებულ მარშრუტში დროებითი ცვლილების შეტანის და ახალი დროებითი მარშრუტის განსაზღვრის უფლებამისილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, რომელიც წინასწარ შეთანხმებული იქნება ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვების მფლობელებთან და აღნიშნულის თაობაზე დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ინფორმირება.

დასასრულს, მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად, ახალი დროებითი მარშრუტის განსაზღვრის შემთხვევაში მომსახურების გაწევის ტარიფი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დადგინდება არაუმეტეს 0,8 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვა:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-7 საკითხთან დაკავშირებით, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სასურველია დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად ასევე მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილებების პროექტებს, მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დაწარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ დადგენილებათა პროექტებს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - ვასილ აბულაძე, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ცვლილება შედის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №33-99 დადგენილებით დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესში“. აღნიშნული წესის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია განსაზღვროს სპეციალური პარკირების ადგილები და პირობები იმ ელექტრომძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისთვის (რომელთა ძრავას მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), რომლებიც აღნიშნულ ადგილს გამოიყენებენ მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების დამუხტვისთვის.

როგორც ვასილ აბულაძემ განაცხადა, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში განთავსდა ელექტროსატრანსპორტო საშუალებების დამტენები. მისივე თქმით, ზემოაღნიშნული წესის მიხედვით, პარკირების ადგილები აღჭურვილი უნდა იქნეს შესაბამისი საგზაო ნიშნებით, საგზაო მონიშვნებით და დამატებითი ინფორმაციის ნიშნებით (დაფებით), აღნიშნული უნდა განხორციელდეს პარკირების ოპერატორის მიერ.

ბატონი აბულაძის თქმით, შესაბამისი ცვლილებები შედის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №33-99 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის“ მე-8 მუხლის პირველ პუნქტში, კერძოდ აღნიშნული მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად, შესაბამისი საცნობი ნიშნის მქონე სატრანსპორტო საშუალებათა პარკირების ადგილის დამდგენი მანიშნებლები განისაზღვრება დანართი 5-ის შესაბამისად.

ამასთან, ახალი რედაქციით ყალიბდება, წესის, მე-8 მუხლის პირველ პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრული, იმ ელექტრომძრავიანი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებისთვის (რომელთა ძრავას მაქსიმალური გამომუშავებული სიმძლავრე 4 კვტ-ზე მეტია), რომლებიც აღნიშნულ ადგილს გამოიყენებენ მხოლოდ სატრანსპორტო საშუალების დამუხტვისთვის პარკირების ადგილის დამდგენი მანიშნებლები განისაზღვრება დანართი 6-ს შესაბამისად.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში უნდა მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს, მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გია გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.09.007.005) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში არსებული იზოლირებული ფართების, მთავრობის N19.1215.1551 განკარგულებით განსაზღვრულ პირთათვის (11პირი), სიმბოლური ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები 1991-2003 წლებიდან ცხოვრობენ შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში არსებულ იზოლირებულ ფართებში, რაც დასტურდება, ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მიერ სამგორის რაიონის გამგეობაში წარდგენილი მოქალაქეებთან გასაუბრების ოქმებითა და დაინტერესებული პირების მეზობლების მიერ, სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით.

ბატონი გიას თქმით, ზემოაღნიშნული პირების უმეტესობა, საქმიანობას ახორციელებდა „თბილმეტრომშენში“ და საცხოვრებელი სახლის არარსებობის გამო, სამსახურის ნებართვით, შესახლებულ იქნენ, აღნიშნული უწყების ადმინისტრაციული შენობის თავისუფალ ოთახებში.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია ისნის რაიონის გამგეობის წერილობითი მიმართა, ქ. თბილისში, შალვა მშველიძის ქუჩა N16-ში მცხოვრები მოქალაქეებისათვის (11ოჯახი), თვითნებურად დაკავებული იზოლირებული ფართების, სიმბოლურ ფასად გადაცემასთან დაკავშირებით.

გია გვენეტაძემ განმარტა, რომ მოქალაქე ავთანდილი ბუცხრიკიძე ფაქტობრივად ფლობს და საკუთრებაში გადაეცემა - 14.69 კვ.მ ფართი; ზაზა მჭედლიძეს - 46.35 კვ.მ; ბესიკი არაბიძეს -

31.07 კვ.მ; გია ცხადაძეს - 87.43 კვ.მ; მანანა წულაიას - 65.19 კვ.მ; გიორგი ჯიხვაშვილს - 48.60 კვ.მ; ზვიადი ღარიბაშვილს - 37.35 კვ.მ; ტრისტანი ბიძინაშვილს - 37.91 კვ.მ; ტარიელ მელაშვილს - 39.71 კვ.მ და 14.00 კვ.მ; თამარ ხუციშვილს - 51.09 კვ.მ; სოფიო გიგაშვილს - 10.98 კვ.მ, 16.18 კვ.მ და 6.63 კვ.მ.

დასასრულს, გია გვენეტაძემ აღნიშნა, რომ სსიპ- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, აღნიშნულ პირებზე და მათი ოჯახის წევრებზე, საკუთრების უფლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, მიზანშეწონილია, პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ქალაქ თბილისის მთავრობის N19.1215.1551 განკარგულების სათაურსა და უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის მითითების ნაწილში დაშვებული ტექნიკური ხარვეზები და პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. ამასთან, სწორი რედაქციით მიეთითოს, განკარგულების დანართი ერთში მითითებული, მოქალაქის სახელი.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს, მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გია გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისში, ქუჩა პეტრე და იოსებ ოცხელების, N24-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.060.01.503) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ქუჩა პეტრე და იოსებ ოცხელების, № 24-ში მდებარე უძრავი ქონების - 53.08 კვ.მ ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით მოქალაქე ავთანდილ ბეგლარაშვილისთვის გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია, სამგორის რაიონის გამგებლის წერილი-შუამდგომლობა, არადევნილის სტატუსის მქონე მოქალაქე-

ავთანდილ ბეგლარაშვილისთვის, მის სარგებლობაში არსებული იზოლირებული საცხოვრებელი ფართის, ერთ ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

როგორც ბატონმა გიამ აღნიშნა, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის V განყოფილების წერილისა და გამგეობის მიერ შედგენილი შემოწმების ოქმის თანახმად, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, მოქალაქე - ავთანდილ ბეგლარაშვილი დაბადებიდან, ოჯახთან ერთად ცხოვრობს მისამართზე: ქ. თბილისი, ოცხელების ქუჩა № 24. ამასთან, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით დასტურდება, რომ ავთანდილ ბეგლარაშვილი 1956 წლიდან ცხოვრობს ზემოაღნიშნულ მისამართზე.

ბატონმა გიამ იქვე დასძინა, რომ საკითხთან მიმართებაში, სსიპ- ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია ავთანდილ ბეგლარაშვილის სახელზე გაწერილი კომუნალური გადასახადების ქვითრები, რომლებშიც აბონენტის მისამართად ფიქსირდება - ოცხელის ქ. 24.

დასასრულს, გია გვენეტაძემ აღნიშნა, რომ სსიპ- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ავთანდილ ბეგლარაშვილის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ბატონმა ლევანმა განმარტა, რომ პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით უნდა მიეთითოს მთავრობის №19.1223.1533 განკარგულების სათაური, აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური და გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომები. შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს, მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გია გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.07.003.101.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, დავით გურამიშვილის ქუჩა N7-ში სართული 2, ბინა N2, 90.26 კვ.მ ფართის, მარინე გაბროშვილისთვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილია, მთაწმინდის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე უძრავი ქონების, მარინე გაბროშვილისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

როგორც საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, მარინე გაბროშვილისა და მისი ოჯახის წევრების აღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტს ადასტურებენ, ქონების გადაცემით დაინტერესებული პირის მეზობლები, ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით. ასევე, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მეექვსე განყოფილების თანამშრომლების მიერ დასტურდება, მარინე გაბროშვილისა და მისი ოჯახის წევრების აღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი.

დასასრულს, გია გვენეტაძემ აღნიშნა, რომ სსიპ- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, მარინე გაბროშვილზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში უნდა მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური, ასევე გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში და პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს, მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გია გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ქუჩა ბესარიონ ჭიჭინაძე, N10ა, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.032) არსებული უძრავი ქონების

პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ქუჩა ბესარიონ ჭიჭინაძე, N10ა, კორპუსი N3-ში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N19.1225.1531 განკარგულებით განსაზღვრულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, დევნილის სტატუსის არმქონე პირები: მარინე ქარდავა - 67.82 კვ.მ; ავთანდილ კომახიძე -111.92 კვ.მ; თენგიზ კომახიძე -,81.59 კვ.მ; ეკატერინე ტურაშვილი - 57.21 კვ.მ; ხათუნა ლაცაბიძე - 45.83 კვ.მ; გიორგი გულიაშვილი - 70.32 კვ.მ; ინგა გელაშვილი - 54.04 კვ.მ; გიორგი ზაზაძე - 60.16 კვ.მ და შოთა ანთია - 17.48 კვ.მ, 1998-1999 წლებიდან დღემდე, ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე, რაც დასტურდება, სამგორის რაიონის გამგეობის მიერ.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის VII განყოფილების წერილებისა და ბინაზე შემოწმების ოქმის თანახმად, ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე ფართებით, ნამდვილად სარგებლობენ ზემოთ მითითებული პირები. ასევე, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით დასტურდება, რომ აღნიშნული პირები, 1999 წლიდან დღემდე ნამდვილად ცხოვრობენ და სარგებლობენ უძრავი ქონებით მდებარე: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონი, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა, N10ა, კორპუსი N3.

დასასრულს, გია გვენეტაძემ აღნიშნა, რომ სსიპ- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე და მათ ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, ტექნიკური ხასიათის ხარვეზები უნდა გასწორდეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 20 ნოემბრის N19.1225.1531 განკარგულების სათაური მიეთითოს სწორი ფორმით და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს, მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გია გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.009) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთი, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში არსებული უძრავი ქონების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N19.1222.1534 განკარგულებით განსაზღვრულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

როგორც ბატონმა გიამ აღნიშნა, დევნილის სტატუსის არმქონე პირები: მანანა დოდაშვილი (59.14კვ.მ და 52.06 კვ.მ), ლია ნათობიძე (58.53 კვ.მ), ირინა სოლოღაშვილი (58.88 კვ.მ; 52.06 კვ.მ და 3.54კვ.მ) და გოჩა კურტანიძე (59.40კვ.მ და 53.40კვ.მ) დაინტერესებაში არსებულ ფართებში ცხოვრობენ 1990 წლიდან დღემდე, რაც დასტურდება ვაკის რაიონის გამგეობის - წყნეთის საუბნო განყოფილების მიერ.

ბატონმა გიამ ასევე აღნიშნა, რომ ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს წერილისა და დაინტერესებულ პირთა მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით დასტურდება, რომ აღნიშნული მოქალაქეები ოჯახებთან ერთად 1990 – 1995 წლებიდან დღემდე ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის შალვა შავგულიძისა და ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობები, ქ. თბილისში, დაბა წყნეთი, გრიშაშვილის ქუჩა №57-ში მცხოვრები მოქალაქეებისთვის, მათ სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის შესახებ. ასევე, წარდგენილია, კომუნალური გადასახადის ქვითრები, სადაც მითითებული მოქალაქეები რეგისტრირებული არიან აბონენტებად.

დასასრულს, გია გვენეტაძემ აღნიშნა, რომ სსიპ- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე და მათ ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. აგრეთვე, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულება მიეთითოს შემდეგნაირად:

„ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, იოსებ გრიშაშვილის ქუჩა N49-ში (საკადასტრო კოდი: N01.20.01.001.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს, მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გია გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, “ქალაქი თბილისი, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ N10, N18ა და N20ა კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.317) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქი თბილისში, შანდორ პეტეფის ქუჩის ხელმარცხნივ N10, N18ა და N20ა კორპუსებს შორის არსებული 233 კვ.მ მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად, საკუთრებაში გადაცემას, ეკლესიის კეთილმოწყობისა და დამხმარე ნაგებობის მშენებლობის მიზნით.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიიჩნია მიწის ნაკვეთის განკარგვა, დამოუკიდებელი სამშენებლო განვითარების გარეშე.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

თავმჯდომარის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზები და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს, მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **გია გვენეტაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 10 (ათი) ტონამდე ჯართის, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის გადაცემას, **შემდგომში საგურამოს წმ. ილია მართლის და დიდუბის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიებისთვის დროებითი ღობის მოწყობის მიზნით.**

გია გვენეტაძის თქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის წერილობითი თანხმობა, დასაწყობებული ამორტიზირებული რკინის მასალის, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის **სიმბოლურ ფასად 1** (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, ქ. თბილისში დიდუბის რაიონის გამგეობის ტერიტორიაზე წარმოდგენილი ერთი ტონა შავი ლითონის ჯართის საბაზრო ღირებულება **2019 წლის ნოემბრის** თვის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს **450 ლარს.**

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტს სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, ამავე კანონის 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტი და 118[1] მუხლის პირველი პუნქტი.

თავმჯდომარის თქმით, აგრეთვე უნდა მიეთითოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი, ამავე წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი და მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი.

ამასთან, ბატონი ლევანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სათაურში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით. ასევე, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მოხდეს პრივატიზებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების და საპრივატიზებო საფასურის მითითება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს, მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-16 საკითხის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კომისია ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-16 საკითხის გადადებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გია გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.300.03.03.002) პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე ჯემალ ჭკუასელისთვის, ქალაქ თბილისში, მია გურიელის ქ. №5ა-ს მე-2 სართულზე მდებარე 77.90 კვ.მ. ფართობის №2 ბინის, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, ვაკის რაიონის გამგეობის 2013 წლის შესაბამისი განკარგულებით ჯემალ ჭკუასელს და გიული ჭკუასელს ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №5-ში გადაეცათ, მშენებარე საცხოვრებელ კომპლექსში 67.60 კვ.მ ფართობის ბინა, რომელიც საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა მათ თანასაკუთრებად (ს/კ:№01.14.14.003.143.02.005).

მომხსენებლის თქმით, ვინაიდან, ვერ მოხერხდა აღნიშნული შენობის მშენებლობის დასრულება, ჯემალ ჭკუასელს და გიული ჭკუასელს, მათთვის გადაცემული დაუმთავრებელი ბინის სანაცვლოდ, გადაეცემათ, ქ. თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში არსებული საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში.

საკითხის წარმომდგენმა იქვე დასძინა, რომ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის მიხედვით, ქ.თბილისში, ყიფშიძის ქ. №5-ში მდებარე, თეთრი კარკასის მდგომარეობაში მყოფი 67.60 კვ.მ ფართის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2019 წლის 6 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 150 072 (ას ორმოცდაათი ათას სამოცდათორმეტი) ლარის ოდენობით, ხოლო მწვანე კარკასის მდგომარეობით 160 077 (ას სამოცი ათას სამოცდაჩვიდმეტი) ლარის ოდენობით. ხოლო, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით ქ. თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების მთლიანი საბაზრო ღირებულება 2019 წლის 7 აგვისტოს მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 171 302 ლარს.

დასასრულს, ბატონმა გიამ აღნიშნა, რომ ჯემალ ჭკუასელისა და გიული ჭკუასელის ინტერესებისა და ქართული კულტურისა და ხელოვნების სფეროში მათი დამსახურების გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის ქონების საბაზრო ღირებულება აღემატება მათ თანასაკუთრებაში არსებული ქონების საბაზრო ღირებულებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს მოთხოვნილი ფართის, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად მათთვის გადაცემას, მათი მხრიდან, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №5-ში მდებარე, 67.60 კვ.მ ფართობის №5 ბინაზე თანასაკუთრების უფლების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის დათმობი სანაცვლოდ.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია განკარგულების პროექტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, მამია გურიელის ქ. №5ა-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.15.001.300.03.03.002) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

გარდა ამისა, თავმჯდომარის თქმით, სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური, ასევე გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი და მთავრობის №19.1264.1601 განკარგულების თარიღი მიეთითოს სწორი ფორმით, კერძოდ - 3 დეკემბრის ნაცვლად „4 დეკემბერი“.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს, მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის წევრებს შესთავაზა, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-18 საკითხის გადადება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების უკეთ შესწავლის მიზნით. თავმჯდომარემ, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

კომისია ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-18 საკითხის გადადებასთან დაკავშირებით.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - გია გვენეტაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.061.039) 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ი/მ მანანა პრუსეცკისთვის (პ/ნ: 01008005543) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, რკინის რიგის ქუჩაზე რეგისტრირებული 536 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ი/მ მანანა პრუსეცკისთვის, იჯარით გადაცემას, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2025 წლის 1 იანვრამდე.
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება 5100 (ხუთი ათას ასი) ლარი.

გია გვენეტაძემ განმარტა, რომ აღნიშნული პირი, იჯარით ფლობს, რკინის რიგის ქ. №5-ში მდებარე ფართებს.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ დადებითი შეფასება მისცა 21 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განკარგვის საკითხს, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, ხოლო, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის რეკომენდაციით, მაგიდების განთავსება უნდა მოხდეს მხოლოდ ერთ რიგად, შენობასთან.

აზრი გამოთქვა:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის **სათაურში და პირველ პუნქტში** გასწორებულ იქნას ტექნიკური ხასიათის შეცდომები და განკარგულების პროექტის სათაური და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **გია გვენეტაძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ. №88-90-ის მიმდებარედ არსებული **54 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის (ს/კ: **№01.14.04.008.341)** მარიამ ჭუბაბრიასოვის (პ/ნ: 01024076018) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მარიამ ჭუბაბრიასთვის, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ. №88-90-ის მიმდებარედ არსებული 54 კვ. მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **5 (ხუთი) წელი;**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება **7800 (შვიდი ათას რვაასი) ლარი.**

გია გვენეტაძემ განმარტა, რომ აღნიშნული პირი, საკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქ. № 88-90-ის მიმდებარედ არსებულ უძრავ ქონებას.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის მიხედვით, მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვა შესაძლებელია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №14-39 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, კომისიის წევრებს აცნობა, თბილისის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“ შემადგენლობიდან ერეკლე კუხიანიძის გარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილება.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ ერეკლე კუხიანიძის განცხადებები ოკუპირებულ ტერიტორიაზე ტყვეობაში მყოფ ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილთან დაკავშირებით მიუღებელი და დამაზიანებელია როგორც გუნდისთვის, ასევე სახელმწიფოსთვის. მისივე განცხადებით, საკრებულოს სხდომაზე ერეკლე კუხიანიძის გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს განიხილავენ.

კომისიამ, ცნობის სახით მიიღო აღნიშნული ინფორმაცია.

მოისმინეს:

22. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, ინიციირების წესით წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №8-15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, აღნიშნულ ორგანულ კანონში მოცემული რეგულაციების შესრულებისა და აღსრულების მიზნით, შემუშავდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის შესაბამისად, დედაქალაქის საკრებულოს აპარატის ფუნქციად, ასევე განისაზღვრება შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება. ამასთან, წარმოდგენილი პროექტით, აღნიშნულ ფუნქციასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს უზრუნველყოფს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ბატონი ლევანის თქმით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ცვლილება შედის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 სექტემბრის №8-15 დადგენილებაში. კერძოდ:

1) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ დებულებაში, მე-3 მუხლს „შ" ქვეპუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის „შ¹" ქვეპუნქტი, რითაც საკრებულოს აპარატის ერთ - ერთი ფუნქცია ხდება შრომის უსაფრთხოების ორგანიზება და მართვა".

2) დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებული დებულების 22-ე მუხლს „ნ" ქვეპუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის ნ¹ და ნ² ქვეპუნქტები და საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების დადგენილების მოქმედი რედაქციით გათვალისწინებულ ამოცანებს ემატება შემდეგი ღონისძიებები:

„ნ¹) შრომის უსაფრთხოების სფეროში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმებისა და წესების დაცვის უზრუნველყოფა;"

„ნ²) კომპეტენციის ფარგლებში თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის და აპარატის მოსამსახურეთათვის/თანამშრომლებისათვის უსაფრთხო და ნორმალური სამუშაო პირობების შექმნისა და მუშაობის დროს წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორების ორგანიზება და უზრუნველყოფა."

დასასრულს, ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ დადგენილება ძალაში შევა 2020 წლის პირველი იანვრიდან.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2020 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონი ლევანის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისათვის, 2020 წელს შრომითი

ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესებას, შემდეგი ოდენობით:

- ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღრება 3 წევრით - 60 000 (სამოცი ათასი) ლარი (თვეში არაუმეტეს 5 000 (ხუთი ათასი) ლარი).

- იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი გაიზრდება 1 300 (ათას სამასი) ლარით და ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი განისაზღვრება შესაბამისი პროპორციით.

ბატონმა ლევანმა იქვე დასძინა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიღება გამოიწვევს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N395 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

დასასრულს, ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ განკარგულების პროექტის მე-4 პუნქტი - განკარგულების ძალაში შესვლის თაობაზე, უნდა განისაზღვროს წარმოდგენილი განკარგულების მე-3 პუნქტად, შესაბამისად, მე-3 პუნქტით განსაზღვრული განკარგულების გასაჩაცრების ვადა განისაზღვროს განკარგულების მე-4 პუნქტად.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ, ინიციირების წესით წარმოადგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

თავმჯდომარის განცხადებით, „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის თანახმად, შრომის უსაფრთხოების სფეროში დასახული ამოცანების

შესრულების ორგანიზებისათვის დამსაქმებელს, რომელსაც ჰყავს 100 ან მეტი დასაქმებული, ვალდებულია ჰყავდეს მინიმუმ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

როგორც ბატონმა ლევანმა განმარტა, ზემოაღნიშნულ ორგანულ კანონში მოცემული რეგულაციების შესრულებისა და აღსრულების მიზნით, შემუშავდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის შესაბამისად, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის უფროსის მოადგილე) ხდება შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ამასთან, აღნიშნულ ფუნქციასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულებას უზრუნველყოფს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში მე-3 რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) საშტატო ერთეულით გაზრდას (იყო 4 (ოთხი) და ხდება 5 (ხუთი)).

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის უფროსის მოადგილე) ხდება შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულება მიეთითება საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის ნაწილში, ხოლო, თანამდებობრივი სარგოს ოდენობა იზრდება 400 (ოთხასი) ლარით (იყო 3600 (სამი ათას ექვსასი), ხდება - 4000 (ოთხი ათასი. აღნიშნულის გათვალისწინებით, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილეთა (აპარატის უფროსის მოადგილეთა) საშტატო ერთეულები მიეთითება ცალ-ცალკე.

ბატონი ლევანის თქმით, საშტატო ნუსხის რაოდენობრიობა იზრდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სამდივნოს საშტატო ნუსხის ნაწილში, სადაც, მე-3 რანგის პირველ კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო რაოდენობა იზრდება 1 (ერთი) ერთეულით (იყო 2 (ორი) და ხდება 3 (სამი).

დასასრულს, თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დადგენილება ძალაში შევა 2020 წლის პირველი იანვრიდან.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანი

სხდომის მდივანი ნინო ჯალაღანია